ISFED
საგარეოლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

საჯარო მოხელეების აგიტაცია სოციალურ ქსელებში

პრაქტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი

ლია საზოგადოების ფონდი

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

თბილისი, 2021 წელი

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ღია საზოგადოების ფონდისა (OSGF) და ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED) მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორთა შეხედულებებს

I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, სოციალური ქსელების გამოყენება პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებისთვის დღითიდღე იზრდება. სოციალური მედიის პლატფორმები, ისეთები როგორიცაა ფეისბუქი და ტვიტერი, საარჩევნო კამპანიისას კანდიდატების მთავარ პლატფორმად გარდაიქმნა. სწორედ, ამ საშუალებებით ხდება ამომრჩევლებთან პირდაპირი კომუნიკაცია, მხარდამჭერთა მობილიზაცია თუ საზოგადოებრივი დღის წესრიგის შეცვლა. როგორც საქართველოში, ასევე, მსოფლიოში მიმდინარე არაერთმა არჩევნებმა გამოავლინა სოციალური მედიის მზარდი გავლენა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური პარტიები თუ კანდიდატები აქტიურად ცდილობენ არსებული ინსტიტუციური/ადამიანური რესურსების გამოყენებას, მათ შორის სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების ჩართვას საარჩევნო პროცესებში.

სოციალური ქსელებით საჯარო მოხელეებისა თუ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ უწყებებში დასაქმებული პირებისთვის აგიტაციისა და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულობის შეზღუდვა, ასევე, განიხილება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვისა და გამოხატვის უფლებას დემოკრატიულ სახელმწიფოებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება და დაცულია პოლიტიკური გამოხატვაც, ეს უფლება არ მოიაზრებს პოლიტიკურად ნეიტრალურ საჯარო სამსახურში, ამ სამსახურისათვის განკუთვნილ დროს აგიტაციის გაწევას. საარჩევნო პერიოდში, სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულ პირების სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სხვადასხვა ფორმით ექვემდებარება შეზღუდვას და კონტროლს.[1]

სოციალური ქსელების, განსაკუთრებით კი ფეისბუქის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკა საქართველოშიც დამკვიდრდა. მაგალითად, 2017 წლის ადგილობრივი და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ფეისბუქი გადაიქცა საარჩევნო სუბიექტებსა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. ამის კვალდაკვალ სოციალურ ქსელებში გაჩნდა უკანონო აგიტაციის იმგვარი ფორმები, რაც ,,საარჩევნო კოდექსით" დადგენილ სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა. „სამართლიანმა არჩევნებმა" 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს 676 საჯარო მოხელის „ფეისბუქის" პროფილი შეისწავლა. აქედან, 62 საჯარო მოხელის მიერ, სამუშაო პერიოდში, ,,ფეისბუქის" მეშვეობით განხორციელებული უკანონო აგიტაციის ფაქტები გამოვლინდა.[2] მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდშიც. ,,სამართლიანმა არჩევნებმა" სოციალური მედიის მონიტორინგის პროცესში ჯამში საჯარო მოხელეების ფეისბუქზე, სამუშაო საათებში 115 სააგიტაციო შინაარსის პოსტი აღმოაჩინა. [3]

კვლევის მიზანია გააანალიზოს სოციალური ქსელების საარჩევნო/პოლიტიკური მიზნით გამოყენებაზე რეაგირების გამოწვევები საქართველოში, კერძოდ: საკანონმდებლო ჩარჩო და ამ შემთხვევებზე შესაბამისი ორგანოების რეაგირების პრაქტიკა. ამასთან, სხვადასხვა განვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცდილებაზე დაყრდნობით,

---

[1] Council of Europe study DGI(2017)11, Study on the use of internet in electoral campaigns - https://rm.coe.int/use-of-internet-in-electoral-campaigns-/16807c0e24

[2] სოციალური მედიის მონიტორინგი, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, მეორე შუალდური ანგარიში, ISFED, გვ. 9

[3] სოციალური მედიის მონიტორინგი, მუნიციპალურ ორგანოთა 2021 წლის არჩევნები, ISFED https://www.isfed.ge/geo/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoringis-pirveli-shualeduri-angarishi-

შეისწავლოს სოციალური ქსელებში მოხელეთა ქცევისა და აგიტაციის რეგულირების სტანდარტები.

II. აგიტაციის ცნება და მისი განმარტება

წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყება გარკვეული შეზღუდვების ამოქმედებას იწვევს, რაც, გარკვეული კატეგორიის თანამდებობის პირებს, კამპანიის პროცესში აგიტაციის უფლებას ართმევს; ასევე, ადგენს პრინციპებს, კონკრეტული პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ სახელმწიფო რესურსის გამოყენების ასაკრძალად. საქართველოში აგიტაციის, ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ალტერნატიული ფორმების, ასევე, საარჩევნო მიზნით, ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენის ფაქტების სიმრავლეს განაპირობებდა საარჩევნო კანონმდებლობის ვიწრო, ლეგიტიმური მიზნის უარმყოფელი განმარტება.

ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ნათლად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. ეუთოსა და ვენეციის კომისიის ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების აღკვეთის მიზნით შემუშავებული პრინციპები მნიშვნელოვნად მიიჩნევს ეფექტიანი მექანიზმების არსებობას კანონმდებლობაში, რათა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლონ საკუთარი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება საარჩევნო მიზნით, მათ შორის საჯარო ღონისძიებებში ჩართვა კანდიდატების მხარდასაჭერად ან პირიქით.[4]

მოქმედი კანონმდებლობით წინასაარჩევნო აგიტაციის შეუზღუდავად განხორციელების უფლება აქვთ პოლიტიკური თანამდებობის პირებს (უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო-პოლიტიკური[5] და პოლიტიკური[6] თანამდებობის პირებს).

სოციალური ქსელები, გამოჩენის დღიდან, სულ უფრო აქტიურად იმკვიდრებს ადგილს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. მათგან ყველაზე პოპულარული ფეისბუქია, რომელიც, გამოყენების სიხშირის მიხედვით, მთავარი სოციალური ქსელია საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ფეისბუქის მზარდი როლი უშუალოდ აისახება წინასაარჩევნო კამპანიაზე და მუდმივად ფართოვდება. ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა პანდემიის პირობებში, როცა ონლაინ ურთიერთობა, იზოლაციისა და დისტანცირების საჭიროების გამო, ყველზე უსაფრთხო და, ამავდროულად, მრავალ ადამიანამდე ადვილად მისასვლელ საშუალებად იქცა.

საქართველოში, ფეისბუქი აქტიურად და მრავალმხრივ გამოიყენება პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ, როგორც საკუთარი პოპულარიზაციისათვის, ისე ოპონენტის

---

[4] 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში, 2021 წელი, ვარშავა

[5] სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები. იხ.: საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ.: 3.თ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=35

[6] პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან: სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე. იხ.: საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ.: 3.ი

დისკრედიტაციისათვის. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი არჩევნები“ მეთოდურად სწავლობს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ფეისბუქის გამოყენების გამოვლინებებსა და პოლიტიკური აქტორების ქცევის მოდელებს. კვლების შედეგად აღმოჩენილი მიგნებები ხელმისაწვდომია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ არაერთ ანგარიშში.

წინასაარჩევნო კამპანიაში ამგვარი განმსაზღვრელი როლის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ფეისბუქით გაწეული აგიტაცია ვერ დარჩებოდა „სამართლიანი არჩევნების“ მონიტორინგის მიღმა. ორგანიზაციამ, სხვადასხვა არჩევნების წინასაარჩევნო გარემოზე დაკვირვებისას, ამგვარი აგიტაციის არაერთი ფაქტი აღმოაჩინა.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ არსად ახსენებს სოციალური ქსელების საკითხს, თუმცა განმარტებულია წინასაარჩევნო აგიტაციის ცნება, კერძოდ:

„წინასაარჩევნო აგიტაცია – ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.“[7]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონის ტექსტში ტერმინი - „სოციალური ქსელი“ - ნახსენები არაა, თუმცა, **აგიტაციის ცნების განმარტება საკმაოდ ტევადია და მოიცავს ნებისმიერ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის არჩევას.** ამ ფორმულირებაში, სრულიად ლოგიკურად თავსდება ფეისბუქით განხორციელებული აგიტაციაც, რადგან სოციალურ ქსელში ინფორმაციის გაზიარება საარჩევნო სუბიექტის, მისი აქტივობების, პროგრამის, დაპირებების და ა. შ. შესახებ, ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას, ამომრჩეველთან დაკავშირებას და წარმოადგენს გამზიარებლის მხარდაჭერის დემონსტრაციას, შესაბამისად, აქვს საარჩევნო აგიტაციის ყველა მახასიათებელი. აგიტაციას წარმოადგენს, ასევე, როცა კონკრეტული ფეისბუქ მომხმარებელი ავრცელებს პოლიტიკური სუბიექტის საწინააღმდეგო გზავნილებს, კერძოდ ისეთი საჯარო მოქმედებაც, რომელიც ხელს უშლის საარჩევნო სუბიექტის არჩევას.

საქართველოში, წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად გამოიყენება ადმინისტრაციული რესურსი. სხვადასხვა არჩევნების მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა საჯარო მოხელეების მმართველი პარტიის საარჩევნო შეხვედრებზე დასწრების, მათ მიერ პარტიის მხარდამჭერების მობილიზების მრავალი ფაქტი. კამპანიის ტრადიციულ ფორმებთან ერთად, საჯარო მოხელეები სახელისუფლებო ძალის მხარდაჭერას ფეისბუქზეც აქტიურად გამოხატავენ. გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადენს მათ მიერ, სამუშაო საათებში, მმართველი პარტიის, მისი კანდიდატის აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამგვარი ინფორმაცია, ხშირად, ზიარდება პარტიის/კანდიდატის ან მათი მხარდამჭერი ფეისბუქის გვერდიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატის აგიტაცია, წარმოადგენს მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის - პარტიის აგიტაციასაც, რადგან კანდიდატი იდენტიფიცირებულია წარმდგენ პარტიასთან. გაზიარებულ მასალებში (ფოტოებში,

[7] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხ.: 2.3[1] - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=69

ვიდეოებში), ხშირად, ჩანს პარტიის სიმბოლიკა, საიმიჯო ფერები, სახელი და საარჩევნო ნომერიც.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ სხვადასხვა არჩევნების დროს, არაერთხელ მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას, მონიტორინგის პროცესში აღმოჩენილ უკანონო აგიტაციის ფაქტებზე რეაგირების მოთხოვნით, რადგან ამ საქმეებში საუბარი იყო არა ზოგადად აგიტაციაზე, არამედ აგიტაციის სამუშაო დროს გაწევაზე, რაც აკრძალულია კანონით. საჯარო მოსამსახურეებს არ ეკრძალებათ იქონიონ პოლიტიკური შეხედულებები და უპირატესობას ანიჭებდნენ რომელიმე კანდიდატს, მაგრამ ეკრძალებათ საკუთარი პოლიტიკური პრეფერენციების გამოვლენა და საარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათებში, სამსახურისთვის განკუთვნილ დროს. კერძოდ, საარჩევნო კოდექსის თანახმად, **წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა: საჯარო მოსამსახურისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ის უშუალოდ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს.“** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, საჯარო მოსამსახურის კატეგორიაში ექცევა: პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე[8], ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი[9] და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.[10]

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსი სამუშაო დროს აგიტაციის შეზღუდვას მხოლოდ საჯარო მოხელეების მიმართ აწესებდა. საარჩევნო კოდექსში 2021 წელს შესული ცვლილებებით, კი, ეს წრე საჯარო მოსამსახურემდე გაფართოვდა.[11] ეს მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები, გარდა პოლიტიკური და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, სამსახურში პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს უნდა იცავდნენ.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის უპარტიო. კერძოდ, ამ კანონის მე-15 მუხლი ეხება საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს, საჯარო სამსახურში, სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინტერესებისათვის არ უნდა

---

[8] პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე არის „პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.“ იხ.: საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ.: 3.ე

[9] ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული არის პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია ამ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის გათვალისწინებული თანამდებობები; ასევე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი. იხ.: საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ.: 3.ზ; 78.1.დ

[10] შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული არის „პირი რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება.“ იხ.: საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხ.: 3.დ

[11] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, მუხ.: 1.18.ა.ა. – https://matsne.gov.ge/ka/document/view/5200931?publication=0#DOCUMENT:1;

გამოიყენებოდეს, ასევე, საჯარო სამსახურში მყოფს უფლება არა აქვს, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. ასევე, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, კანდიდატის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებისა და აგიტაციის უფლებამოსილების შეზღუდვა გამომდინარეობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპებიდან, რაც საჯარო სამსახურში დასაქმებულებს (გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ავალდებულებს დაიცვან მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი.[12]

ის დრო, რომელიც განკუთვნილია საჯარო მოვალეობების შესასრულებლად, საერთო სარგებლობის საქმეთა საკეთებლად, არ არის პირადი დრო, და ამ პერიოდის ანუ სამუშაო საათების განმავლობაში პირი შეზღუდულია სახელმწიფოს მიერ კანონით მასზე დაკისრებული რეგულირებებით. ეს დრო, თანამშრომლის მიერ კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად, არის განკუთვნილი, რისთვისაც იგი ხელფასს იღებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში საჯარო მოსამსახურე დაკავებული უნდა იყოს მოქალაქეთა მომსახურებით და არა პოლიტიკური პროპაგანდით. პრობლემას წარმოადგენს არა კონკრეტული კანდიდატის ზოგადი მხარდაჭერა, არამედ, წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნებისთვის, საჯარო სამსახურის დროისა და რესურსების გამოყენება, რა დროსაც საჯარო მოსამსახურე მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობებს უნდა ასრულებდეს.

„საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებაში 2020 წლის 31 აგვისტოს შევიდა ცვლილება და მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად განისაზღვრა, რომ: საჯარო მოსამსახურე თავი უნდა შეიკავოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კომუნიკაციის საშუალებებით, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც შესაძლებელია, აღქმულ იქნეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესების გატარებად.[13]

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 79-ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელიც გამოიწვევს დამრღვევი პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2014 წლის 11 აპრილს გაცემული რეკომენდაციის თანახმად, აგიტაციად მიიჩნევა არა მხოლოდ წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, არამედ საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მხარდასაჭერად მიმართული ქმედება (სიტყვით ან წერილობით მოწოდება) სოციალურ ქსელებში. კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს რეკომენდაციით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, საჯარო სამსახურებში დასაქმებულებმა უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის დანიშვნიდან დაიცვან საარჩევნო კანონმდებლობით

---

[12] Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE - https://www.osce.org/odihr/elections/14304

[13] საქართველოს მთავრობის დადგენილება, „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=0

გათვალისწინებული მოთხოვნები და მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.[14]

„სამართლიანმა არჩევნებმა“ წინასაარჩევნო დაკვირვების პროცესში გამოვლენილი დარღვევების, მათ შორის, საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო დროს, სოციალური ქსელების გამოყენებით განხორციელებული აგიტაციის საკითხი დააყენა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წინაშეც. კომისიამ რეკომენდაციით მიმართა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებს, თავი შეეკავებინათ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით, სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებდნენ სამსახურებრივ ფუნქციებს.[15]

III. სოციალურ მედიაში პოლიტიკური გამოხატვისა და აგიტაციის რეგულირება დემოკრატიულ სახელმწიფოთა პრაქტიკაში

საჯარო სამსახურის პარტიული გავლენისაგან თავისუფლება და შესაბამისად, სამუშაო დროს საჯარო მოხელის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ვალდებულება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებსაც დემოკრატიული სახელმწიფოები ეყრდნობიან საჯარო მოსამსახურის ქცევის წესების რეგულირებისას. სოციალური ქსელის მზარდი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფოები არეგულირებენ საჯარო მოხელეთა ქცევის წესებს სოციალურ ქსელში, როგორც არასამუშაო, ისე სამუშაო დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კი, როგორც წესი, მოხელეს ეკრძალება პოლიტიკური პრეფერენციის ნებისმიერი სახით გამოხატვა, იქნება ეს პოსტი გაზიარება, ფოტოს მოწონება და ა.შ.

მომდევნო ქვეთავებში, კონკრეტული ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით, განხილულია სოციალურ ქსელში მოხელეთა ქცევის დემოკრატიული სტანდარტები.

3.1. აშშ

აშშ-ს ფედერალურ მთავრობაში დასაქმებულ პირებს პოლიტიკური საქმიანობა ჯერ კიდევ 1907 წელს შეეზღუდათ. ფედერალურ მთავრობაში დასაქმებულ პირებს აეკრძალათ პოლიტიკურ/წინასაარჩევნო კამპანიებში ჩართვა, მათ შორის სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და გავლენის გამოყენება. შეზღუდვის მიუხედავად, ფედერალური მთავრობის დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ საარჩევნო უფლებით სარგებლობა და პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვა. მოგვიანებით მიიღეს ჰეტჩის აქტი (Hatch Act), რაც 1939 წლიდან აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლებზე გავრცელდა, 1940 წლიდან კი ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლების იმ უწყებებზეც, რომლებიც ფედერალური ხელისუფლებისგან იღებდნენ დაფინანსებას. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აქტის მიღების მიზანი იყო სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების პოლიტიკურ პროცესებში მათი ნების საწინააღმდეგოდ

[14] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს რეკომენდაცია - https://bit.ly/3A6f9pi

[15] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები, 2020 წლის 25 აგვისტო - https://www.justice.gov.ge/Ministry/Index/1580

ჩართვის გამორიცხვა, აგრეთვე, დამოუკიდებელი და მერიტოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის სისტემა შექმნა. [16]

ჰეტჩის აქტის მიხედვით პოლიტიკური საქმიანობა შემდეგ შემთხვევებში იკრძალება:

- სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას;
- იმ სივრცეში, სადაც პირი სამსახურებრივ ფუნქციებს ასრულებს;
- სამსახურებრივი ფორმის/ოფიციალური სიმბოლიკის, ან ნებისმიერი იმ ნიშნის გამოყენებით რაც განსაზღვრავს პირის სტატუსს და სამსახურებრივ მდგომარეობას.[17]

ჰეტჩის აქტი პოლიტიკურ საქმიანობას განსაზღვრავს როგორც საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური პარტიის, კანდიდატის მხარდასაჭერი, ასევე საწინააღმდეგო აქტივობების განხორციელებაში.[18] ჰეტჩის აქტთან ერთად მოქმედებს სპეციალური ინსტრუქციაც, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, სოციალურ მედიაში ქცევის წესებსაც არეგულირებს. კერძოდ, სპეციალური ინსტრუქციის თანახმად:

1. იზღუდება სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას პოლიტიკური აქტივობების განხორციელება;
2. იკრძალება პოლიტიკური პარტიის, კანდიდატების და სხვა ჯგუფების საქმიანობაში ჩართვა;
3. იკრძალება სამსახურებრივი უფლებამოსილების ან გავლენის გამოყენება არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის მიზნით.[19]

ა) სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას პოლიტიკური აქტივობების განხორციელების აკრძალვა:

ჰეტჩის აქტით იკრძალება სამუშაო ადგილზე ან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, სოციალური მედიის პლატფორმის პირად ანგარიშზე პოლიტიკური პარტიის, კანდიდატის ან ჯგუფის სასარგებლო ან საწინააღმდეგო პოსტების განთავსება, გაზიარება, მოწონება ან კომენტარის დატოვება. საგულისხმოა, რომ არასამუშაო დროს და შესვენებისას კონკრეტული პარტიის ან ჯგუფის მხარდამჭერი პოსტის გაზიარება ნებადართულია. ჰეტჩის აქტი სოციალური ქსელების გამოყენების სტანდარტებს სახლიდან მუშაობის შემთხვევაშიც ადგენს. ამასთანავე, სამუშაო დროს, უშუალოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას იკრძალება პერსონალური კომპიუტერის ან ტელეფონის გამოყენება, მათ შორის პოლიტიკური შინაარსის პოსტების მოწონება ან გაზიარება, თუმცა არასამუშაო დროს მსგავსი შინაარსის შეზღუდვები არ მოქმედებს.

ბ) სოციალურ ქსელებში კანდიდატების მოწონება, გამოწერა ან დამეგობრება:

ჰეტჩის აქტი კრძალავს პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის გვერდების და სოციალური მედიის ანგარიშების მოწონებას, გამოწერასა და დამეგობრებას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების პროცესში ან სამუშაო ადგილზე, თუმცა აკრძალვა არ ვრცელდება არასამუშაო დროს. მაგალითისთვის, დასაშვებ შემთხვევათაგან

---

[16] C. Brown , J. Maskell Hatch Act Restrictions on Federal Employees' Political Activities in the Digital Age, P. 2;
[17] Hatch act modernization act of 2012
https://www.congress.gov/112/plaws/publ230/PLAW-112publ230.pdf
[18] Ibid, P. 8;
[19] Hatch Act Guidance on Social Media, P.2;

დასახელებულია შემთხვევა, როცა დასაქმებული, სამუშაო საათების შემდეგ იწონებს ერთ-ერთი კანდიდატის ინსტაგრამის გვერდს.

გ) სახელმწიფოს/თანამდებობის პირების ოფიციალური გვერდების მოწონება, გამოწერა

ჰეტჩის აქტი არ კრძალავს სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული პირების მიერ მთავრობის ოფიციალური გვერდების მოწონებას. მათ ასევე აქვთ იმ თანამდებობის პირთა ოფიციალური გვერდების მოწონების უფლება, რომლებიც კანდიდატად დასახელდნენ.

დ) ყალბი ანგარიშების გამოყენება კონკრეტული პოლიტიკური პარტიის/კანდიდატის მხარდასაჭერად

ჰეტჩის აქტი კრძალავს სოციალურ ქსელებში პოლიტიკური პარტიის/კანდიდატის მხარდასაჭერად ყალბი ანგარიშების შექმნასა და გამოყენებას. ეს აკრძალვა ზღუდავს სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულთა ფარულად, კანონების გვერდის ავლით ჩართვას წინასაარჩევნო კამპანიაში.

ე) პროფილის ფოტოსთან დაკავშირებული აკრძალვები:

იკრძალება პოლიტიკური პარტიის ლოგოს/სიმბოლიკის და წინასაარჩევნო სლოგანის განთავსება პროფილის ფოტოდ, აგრეთვე, პირად გვერდზე მსგავსი შინაარსის შემცველი ინფორმაციის გაზიარება და გამოქვეყნება.

3.2. დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში საჯარო მოხელეების ქცევა **საჯარო სამსახურის კოდექსითაა** განსაზღვრული. კოდექსი საჯარო მოხელეთათვის ძირითად ღირებულებებს გამოყოფს - პატიოსნება, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ეს ღირებულებები საჯარო მოხელეების როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე სოციალური ქსელების გამოყენების შემთხვევაშიც მოქმედებს.[20]

დიდი ბრიტანეთის კაბინეტის ოფისმა, 2012 წლის 17 მაისს, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისთვის გამოაქვეყნა „სოციალური მედიის სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის".[21] სახელმძღვანელო მითითებები არეგულირებს საჯარო მოხელეების მიერ ისეთი სოციალური ქსელების გამოყენებას, როგორიცაა Twitter და Facebook, როგორც პროფესიული, ისე პირადი მიზნებისთვის.

დიდ ბრიტანეთში საჯარო მოხელეებს შეუძლიათ სოციალური თუ სხვა ციფრული მედია საშუალებებით შეუზღუდავად ისარგებლონ, თუმცა ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, არ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ აქტივობებში და არ დაწერონ ისეთი შინაარსის კომენტარები, რომლებიც მათ მიუკერძოებლობას დააყენებს ეჭვქვეშ. ამასთანავე, საჯარო მოხელეები უნდა მოერიდონ სადავო პოლიტიკურ საკითხებზე კომენტარის გაკეთებას, თავს არ დაესხან და არ შეურაცხყონ ცალკეული ინდივიდები თუ ჯგუფები. ამავდროულად, პოსტისა თუ ფოტოს გაზიარებისას, უნდა

[20] GOV.UK. The Civil Service code., 16. 03.2015 - https://www.gov.uk/government/publications/civil-service-code/the-civil-service-code

[21] GOV.UK. Social media guidance for civil servants: October 2014. 20.10.2014 - https://www.gov.uk/government/publications/social-media-guidance-for-civil-servants/social-media-guidance-for-civil-servants?fbclid=IwAR2wa1HQCNeJipyeIlzADkTYDqxc4rUM5Qp_XRCFPzl1kbNd0pjw644BEDI

მოზომონ თითოეული სიტყვა, რათა დარწმუნდნენ, რომ პოსტი ან ფოტო სადავო პოლიტიკურ საკითხს არ ეხება.[22]

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიის მთავრობას რეგიონულ მთავრობაში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის ცალკე აქვს დადგენილი სოციალური მედიის გამოყენების პირობები. ამ წესების თანახმად, საჯარო მოხელეები პოლიტიკურად ნეიტრალური და მიუკერძოებლები უნდა იყვნენ; მათ ეკრძალებათ სოციალურ მედიაში კონფიდენციალური და სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნებაც.[23]

3.3. კანადა

კანადის ერთ-ერთმა პროვინციამ - ბრიტანეთის კოლუმბიამ, 2010 წელს, პირველად კანადაში, საჯარო მოხელეების მიერ სოციალური მედიის პირადი გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები[24] გამოაქვეყნა. რეგულაციების მიხედვით, საჯარო მოხელეებს ეზღუდებათ სოციალური მედიაში ისეთი სახის აქტივობის განხორციელება - პოსტის დაწერა, ფოტოს დადება, კომენტარის დატოვება და გაზიარება - რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მთავრობის ან კონკრეტული სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

ამასთანავე, ბრიტანეთის კოლუმბიაში საჯარო მოხელეები ვალდებულები არიან მოერიდონ სოციალურ მედიაში საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას, მათ შორის, მთავრობის გადაწყვეტილებებსა და მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაზე კომენტარების გაკეთებას. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საჯარო მოსამსახურეს სოციალურ მედიაში საკუთარი თანამდებობის გამჟღავნების უფლება არ გააჩნია. მეტიც, მათ ელექტრონულ პეტიციებზე ხელმოწერისას, საკუთარი სამუშაო ადგილისა თუ პოზიციის დაფიქსირება ეკრძალებათ.

საგულისხმოა, რომ ბრიტანეთის კოლუმბია საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს საარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს, რადგან, სახელმძღვანელოს თანახმად, შესაძლოა, სოციალურ მედიაში მათ მიერ გამოქვეყნებული პოსტები ან კომენტარები აღქმული იყოს როგორც კონკრეტული პარტიისა თუ კანდიდატის მხარდაჭერა ან სამინისტროს, დეპარტამენტისა თუ სააგენტოს პოზიცია.

საჯარო მოხელეების მიერ სოციალური მედიის გამოყენების სახელმძღვანელო მანიტობას პროვინციის მთავრობამაც შეიმუშავა.[25] დოკუმენტი ვრცელდება ყველა იმ საჯარო მოხელეზე, რომელიც სოციალურ მედიას პროფესიული თუ პირადი მიზნებისთვის იყენებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ სოციალურ მედიაში კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან მათ სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. საჯარო მოხელეებმა არ უნდა გაამხილონ ისეთი სახის ინფორმაციაც, რომელზე წვდომაც მათ სამსახურებრივად გააჩნიათ.

---

[22] GOV.UK. Social media guidance for civil servants: October 2014. 20.10.2014 - https://www.gov.uk/government/publications/social-media-guidance-for-civil-servants/social-media-guidance-for-civil-servants?fbclid=IwAR2wa1HQCNeJipyeIlzADkTYDqxc4rUM5Qp_XRCFPzl1kbNd0pjw644BEDI

[23] Scottish Government. Social media policy. 01.06.2017 - https://www.gov.scot/publications/social-media-policy/

[24] British Columbia BC Public Service. Social Media Guidelines for BC Public Service Employees. 07.2019 - https://www2.gov.bc.ca/assets/gov/careers/about-the-bc-public-service/ethics/social_media_guidelines_for_personal_use.pdf

[25] Manitoba. Civil Service Commission. Principles&Policies for Managing Human Resources. 3.2.2. Social Media Policy. 15.09.2015 - https://www.gov.mb.ca/csc/policyman/socialmedia.html

დოკუმენტის თანახმად, საჯარო მოხელეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ პირადი მოსაზრებების გამხელა ონლაინ პლატფორმაზე შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც მანიტობას მთავრობის პოზიცია. ამასთანავე, მითითებებში ხაზგასმულია, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ სოციალურ მედიაში განთავსებული ნებისმიერი პოსტი, ფოტო თუ კომენტარი, წაშლის მიუხედავად, შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს. დამატებით აღნიშნულია, რომ საჯარო მოხელე, სახელმძღვანელო რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა თანამდებობიდან იქნეს გათავისუფლებული.

საბოლოოდ, იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მოხელე დარწმუნებული არაა, რომ სოციალურ მედიაში მის მიერ გამოქვეყნებული პოსტი, ფოტო თუ კომენტარი არ არღვევს მანიტობას პროვინციის მთავრობის მიერ შემუშავებულ პრინციპებს, შეუძლია მიმართოს მანიტობას კომუნიკაციის სერვისს (CSM) და გაიაროს კონსულტაცია.

3.4. ავსტრალია

ავსტრალიის საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები ვალდებულები არიან დაიცვან **„დასაქმების პრინციპებით“**, **„ქცევის კოდექსითა“** და **„საჯარო მომსახურების 1999 წლის აქტით“** გათვალისწინებული ღირებულებები. კანონის მიხედვით, საჯარო მოხელე ვალდებულია დაიცვას დასაქმების პრინციპები კონკრეტული სააგენტოს და მთლიანად, ავსტრალიის საჯარო სამსახურის რეპუტაციის შესანარჩუნებლად.

ავსტრალიაში საჯარო სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ სოციალური სივრცეში განახორციელონ აქტივობები, გააზიარონ პერსონალური შეხედულებები და პოლიტიკური მოსაზრებები სწორედ ისე, როგორც ამას საზოგადოებრივ ცხოვრებაში აკეთებენ. თუმცა, საჯარო სამსახურში ყოფნა გულისხმობს იმას, რომ პერსონალურსა და პროფესიულ ცხოვრებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამგვარად, საჯარო მოხელეთა პირადი შეხედულებების აფიშირებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ავსტრალიის მთავრობის მიმართ მოქალაქეთა ნდობის ფაქტორზე. სწორედ ამიტომაა, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის ზოგიერთი ვალდებულება პირად ცხოვრებაზეც ვრცელდება და საჭიროა მათი დაბალანსება მოხდეს, რათა თანამშრომელთა უფლებები, როგორც ინდივიდის, ისე მათი ვალდებულებები, როგორც საჯარო მოხელის, გათვალისწინებული იყოს. ამ მიზნით, ავსტრალიამ საჯარო მოხელეებისთვის სოციალური მედიაში აქტივობების შესახებ სახელმძღვანელო შეიმუშავა.[26]

საჯარო მოხელეებისათვის სოციალურ ქსელებში რეგულაციების დაწესება არ ზღუდავს მათ უფლებას დაწერონ პოსტი ან ჩაერთონ ონლაინ დებატებში პოლიტიკურ ან სოციალურ საკითხებზე, თუმცა საყურადღებოა, რომ რაც უფრო ახლოსაა თემა მათ სამუშაოსთან, მით უფრო დიდია რისკი ამან გავლენა მოახდინოს მთავრობის მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია, საჯარო მოხელე სოციალურ ქსელში როგორი ფორმით გამოთქვამს საკუთარ აზრს - კრიტიკისა თუ ქების რადიკალური

---

[26] Australian Government. Australian Public Service Commission. Social media: Guidance for Australian Public Service Employees and Agencies. 17.09.2020 https://www.apsc.gov.au/working-aps/integrity/social-media-guidance-australian-public-service-employees-and-agencies

გამოხატულება პოლიტიკური პარტიისა თუ მათ მიერ შემუშავებული პოლიტიკის მიმართ, ბადებს კითხვებს თანამშრომელთა მიუკერძოებლობის საკითხზე.

ამასთან დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ საჯარო მოხელეების მხრიდან სხვა ადამიანების პოსტების მოწონება იმავე რისკებს შეიცავს, რასაც თავად დაწერილი პოსტი. თუმცა, გაცილებით დაბალი საფრთხის მატარებელია პოლიტიკური ფიგურის სოციალურ ქსელში „მეგობრებში დამატება", რადგანაც ამის მიზეზი შეიძლება იყოს კონკრეტული პარტიისა თუ პირის მოქმედებების შესახებ ინფორმაციის ქონის სურვილი, პირადი კავშირების არსებობა და სხვ. რისკი იზრდება მაშინ, თუ პოლიტიკური ფიგურის პოსტებზე საჯარო მოხელის ჩართულობა დაფიქსირდება.

დამატებით, სახელმძღვანელო დოკუმენტში მითითებულია, რომ საჯარო მოხელე ვალდებულია გააკონტროლოს, რა სახის პოსტებსა და ფოტოებზე არის მონიშნული. თუ პოსტი ან ფოტო საჯარო მოხელის სოციალური ქსელის გამოყენების შესახებ დადგენილ წესებს ეწინააღმდეგება, აუცილებელია, მონიშვნა რაც შეიძლება სწრაფად მოიხსნას.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის ძირითადი პრინციპები, რაც ავსტრალიაში საჯარო მოხელეებს სოციალურ ქსელში გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. მათ შორისაა: ისეთი სახის პოსტების, ფოტოებისა თუ კომენტარების გავრცელება, რაც სიძულვილის ენას, დაშინებას, ძალადობის წახალისებასა და ინდივიდებისა თუ გაერთიანებების მიმართ თავდასხმებს შეიცავს. ამასთან, საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ ონლაინ პეტიციის შექმნა ან გაზიარება, ასევე, ონლაინ გაერთიანების ჩამოყალიბება ან გაწევრიანება, რომელიც მისი დეპარტამენტის, სააგენტოს ან სამინისტროს მიმართ საპროტესტო ხასიათის მატარებელია და რომელიც მხარს უჭერს ძალადობას ან ცილისწამებას მთავრობის, კოლეგების ან საჯარო ფიგურების მიმართ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეს სიფრთხილე მართებს ფულის შესაგროვებელი აქციის დაწყებაზე, მონაწილეობის მიღებასა და გაზიარებაზე, თუმცა, საჯარო მოხელის აქტივობის შეზღუდვა ამ მიმართულებით აქციის მიზანზეა დამოკიდებული.

ავსტრალიის რეგულაციების მიხედვით, საჯარო მოხელის მხრიდან სოციალურ მედიაში განხორციელებული ზოგიერთი საქციელი ნაკლები რისკის მატარებელია, მაგალითად პირადი ელექტრონული ფოსტების, ჯგუფური თუ პირადი მიმოწერების საშუალებების გამოყენება, მაგრამ აქაც სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგან გასათვალისწინებელია, რომ პირადი კომუნიკაციები ყოველთვის არ რჩება პირადად, სცდება პირად სივრცეს და ხდება საჯარო.

IV. ფეისბუქაგიტაციის შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკა (გადაწყვეტილებები „სამართლიანი არჩევნების" საჩივრებზე)

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევები ,,სამართლიანი არჩევნებმა" გაასაჩივრა საარჩევნო ადმინისტრაციაში, კერძოდ: ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,თ" და „კ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევა, რაც გამოიხატა წინასაარჩევნო კამპანიაში არაუფლებამოსილი პირების - ამ შემთხვევაში, საჯარო მოხელეების, ა(ა)იპის თანამშრომლის მონაწილეობაში. ასევე, საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, წარდგენილი იყო საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ განხორციელებულ ფეისბუქაგიტაციის ფაქტზე.

წარდგენილ საჩივრებში მოყვანილი იყო უდავო მტკიცებულებები, რომლებშიც პირდაპირ ჩანდა, რომ საჯარო მოხელე სამუშაო დროს ეწოდა აგიტაციას მმართველი პარტიის სასარგებლოდ. საჩივრების განმხილველი საარჩევნო კომისიებისთვის მტკიცებულების სახით წარდგენილ ფეისბუქპოსტების სქრინებში კარგად ჩანდა ინფორმაციის გაზიარების თარიღი და დრო, გამზიარებლის ვინაობა, გაზიარებული ინფორმაციის რაობა, ასევე, საიდან/ვისგან გააზიარა მოხელემ ის. რამდენიმე საჯარო მოხელის შემთხვევაში, ამგვარ ფაქტებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა და ერთ საჩივარში ერთი მოხელისგან განხორციელებული ფეისბუქაგიტაციის რამდენიმე ფაქტი იყო მოყვანილი.

წარდგენილი მტკიცებულებები, სამწუხაროდ, უგულებელყოფილი იქნა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ და მათ საპირწონედ გამოყენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მოხელეთა, ანუ უშუალოდ დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტებები, რომლის მიხედვითაც, აგიტაციის შემცველი პოსტები ფეისბუქანგარიშის მფლობელი მოხელის ნაცვლად, მისსავე ფეიბუქგვერდზე გაზიარებული იყო ოჯახის წევრის (ცოლის, ქმრის, დედამთილის) მიერ, შესაბამისად აღნიშნული ქმედება ვერ ჩაითვლებოდა აგიტაციის წესის დარღვევად. საარჩევნო ადმინისტრაციის ამგვარი მიდგომა რამდენიმე მხრივ იმსახურებს კრიტიკას და ნებისმიერი გონიერი დამკვირვებლის თვალში მიკერძოების ეჭვს აჩენს. ერთი მხრივ, საქმის განმხილველი კომისიები, ობიექტური მტკიცებულების საწინააღმდეგოდ, ეყრდნობოდნენ დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტებებს, რომელთაც სანქციის თავიდან არიდების ბუნებრივი და გასაგები ინტერესი გააჩნდათ და გულუბრყვილოდ იჯერებდნენ მტკიცებას იმის შესახებ, რომ კონკრეტული სააგიტაციო პოსტი ფეისბუქპროფილის მფლობელის ნაცვლად, მისი ოჯახის რომელიმე წევრმა, მაგალითად, დედამთილმა გააზიარა და, ამასთან, არასწორად განმარტავდნენ კანონს და უგულებელყოფდნენ მოხელის ეთიკის წესებს.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ დააფიქსირა ფოთის მერიის საჯარო მოხელის მიერ, სამუშაო დროს, არაერთგზის აგიტაცია ფეისბუქზე.[27] იგი აზიარებდა მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო აგიტაციის შესახებ ინფორმაციას. საარჩევნო ადმინისტრაციას ორგანიზაციამ მიმართა რეაგირების მიზნით, წარუდგინა საჩივარი და ფაქტის დამადასტურებელი ფეისბუქპოსტის სქრინები. N70 ფოთის საოლქო სარჩევნო კომისია დაეყრდნო მხოლოდ ამ მოხელისა და მისი ცოლის, ანუ დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტებას, რომლის მიხედვითაც, ქალი ფლობდა მეუღლის აიდსა და პაროლს და მან გააზიარა ინფორმაცია. ეს უკანასკნელი მოხელე არ იყო. ამასთან, კომისიამ აღნიშნა, რომ კანდიდატები რეგისტრირებულნი არ იყვნენ და არ წარმოადგენდნენ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს. კომისიამ არ გაითვალისწინა, საჩივარში მოყვანილი არგუმენტები. მხედველობაში არ მიიღო, რომ კანდიდატები პარტიის მიერ დასახელებულნი იყვნენ, წინასაარჩევნო კამპანიას აქტიურად ატარებდნენ. ასევე, პოსტებში, რომელიც გაზიარებული ჰქონდა მოხელეს, კარგად ჩანდა პარტიის სიმბოლიკა და ეს ქმედება პარტიის აგიტაციასაც წარმოადგენდა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ, აგრეთვე, აღნიშნა რომ სოციალურ მედიის გამოყენების კუთხით აკრძალულია მხოლოდ შესაბამისი საბიუჯეტო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდისა ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედიის გამოყენება. პირად სოციალურ გვერდებზე კი, რომელიმე სუბიექტის სასარგებლო ან საწინააღმდეგო ინფორმაციის განთავსება, კანონმდებლობის შესაბამისად, არ მიიჩნევა

[27] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/58101

წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიაში მონაწილეობის წესების დარღვევად, შესაბამისად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად. კომისიას არ მიუთითებია ამგვარი მსჯელობის სამართლებრივი საფუძველი და პარალელურად, უგულებელყო უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილება, რომლებშიც ნათლადაა ნათქვამი, რომ მოხელე სამუშაო საათებში პოლიტიკურ აგიტაციას არ უნდა ეწოდეს. აღსანიშნავია, რომ კომისიამ ფორმალური საბაბით, უარი თქვა სარჩევნო კოდექსის ნორმები განემარტა კანონმდებლობის ნამდვილი მიზნიდან და სულისკვეთებიდან გამომდინარე.

ასევე, გაუგებარია, ახსნა-განმარტებები იმის შესახებ, რომ პოსტი სინამდვილეში სხვა პირმა გააზიარა, თუ ჩაითვლება, რომ პირადი ფეისბუქით განხორციელებული აგიტაცია, a priori, დაშვებული და კანონიერი ქმედებაა.

საოლქო კომისიის ამგვარი ფორმალისტური დამოკიდებულება საკითხისადმი შორს დგას დავების განხილვის საუკეთესო სტანდარტისგან და ტოვებს განცდას, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს წინასაარჩევნო გარემოს რეალურად სამართლიან და თანასწორ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა.

საგულისხმოა, რომ ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიამ მსგავსი მსჯელობა განავითარა სხვა მოხელეთა საქმეებზე,[28] ოღონდ ამ ჯერზე, მოხელის ფეისბუქის პაროლს მისი ქმარი ფლობდა და მეუღლეების ახსნა-განმარტებით, სწორედ ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა პოსტი.

მესამე საჩივრის შემთხვევაშიც,[29] მეუღლეთა ახსნა-განმარტების თანახმად, სააგიტაციო პოსტი, კვლავ, მოხელის ქმრის მიერ იყო გაზიარებული, ხოლო აგიტაციის სხვა შემთხვევის დროს, მოხელე შვებულებაში იყო, რა დროსაც აგიტაციის უფლება ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია არცერთ შემთხვევაში არ დაინტერესებულა მოხელეების მეუღლეებს ჰქონდათ თუ არა საკუთარი ფეისბუქპროფილი ან როგორ ხდებოდა, რომ სააგიტაციო პოსტებს ყოველთვის მეუღლეები აზიარებდნენ და არა მოხელეები. კომისია პირდაპირ ენდო დაინტერსებულ პირთა ახსნა-განმარტებებს. ასევე, არ უმსჯელია ფეისბუქაგიტაციის განმეორებადობაზე, რომელსაც, ზოგჯერ, მრავალჯერადი ხასიათი ჰქონდა.

აღსანიშნავია, ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაც „სამართლიანი არჩევნების“ საჩივარზე, რომლითაც გასაჩივრებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიაში საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული წევრის მიერ განხორცილებული ფეისბუქაგიტაცია.[30] საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საარჩევნო კომისიის წევრს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს. კომისიამ უპირობოდ გაიზიარა საუბნო კომისიის წევრისა და მისი დედამთილის ახსნა-განმარტებები, რომ სააგიტაციოო პოსტი გაზიარებული იყო

---

[28] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/58051

[29] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/58001

[30] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/57951

ამ უკანასკნელის მიერ. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კომისიის წევრს უპირობოდ, გამონაკლისის გარეშე ეკრძალება აგიტაცია, ნებისმიერ დროს, სამუშაო საათების მიუხედავად. შესაბამისად, ამ საქმეში, საოლქო კომისიას არანაირი არგუმენტი არ გააჩნდა საჩივრის საწინააღმდეგოდ. იგი მხოლოდ დაინტერესებულ პირთა ახსნა-განმარტებებს დაეყრდნო და საჩივარი არ დააკმაყოფილა.

„სამართლიანი არჩევნების“ საჩივრის საფუძველზე, მოხელის ფეისბუქაგიტაციის სამი საქმე[31] განიხილა N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ და დაადგინა, რომ მოხელე შვებულებაში იყო პოსტის გავრცელების დროისათვის და არ ეკრძალებოდა აგიტაცია. ამასთან, კომისიამ გაიმეორა სხვა საოლქო საარჩევნო კომისიების პრაქტიკა და დამატებით აღნიშნა, რომ მოხელე შვებულებაში რომც არ ყოფილიყო, მისი საკუთარი ტელეფონიდან, სამუშაო საათებში სააგიტაციო მასალის გაზიარება დარღვევად არ ჩაითვლებოდა.

საოლქო საარჩევნო კომისიებს, არცერთ შემთხვევაში, არ უმსჯელიათ იმაზე, თუ რას ნიშნავს სამუშაო დრო, რომელსაც მოხელეს გადასახადის გადამხდელები უნაზღაურებენ და დასაშვებია თუ არა ამ დროის საარჩევნო-პოლიტიკური მიზნით გამოყენება.

საოლქო კომისიებმა ზემოაღწერილის მსგავსი მიდგომა გამოავლინეს „სამართლიანი არჩევნების სხვა საჩივრებზეც, მათ შორის: ისანში,[32] რუსთავსა[33] და ხელვაჩაურში.[34]

„სამართლიანმა არჩევნებმა“ საჩივარი წარადგინა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპის თანამშრომლის მიერ, სამუშაო დროს, ფეისბუქაგიტაციის შესახებ.[35] საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თანამშრომელს, სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ის უშუალოდ ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს. ცესკომ საოლქო კომისიების მსგავსი მსჯელობა განავითარა და აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლის პირადი გვერდი იყო და არ უმსჯელია სამუშაო დროის საკითხზე.

საარჩევნო ადმინისტრაციისათვის წარდგენილი კიდევ ერთი საჩივარი ეხებოდა ხულოს მერის მოადგილის მიერ, წინასაარჩევნო პერიოდში პროფილის ფოტოზე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ჩარჩოს გაკეთების ფაქტს.[36] ჩარჩო ამ პარტიის შექმნილი იყო და ჩანდა მისივე საარჩევნო ნომერი. ეს წარმოადგენდა აშკარა და დროში განგრძობად აგიტაციას მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ყველა, ვინც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ფეისბუქგვერდზე შევიდოდა, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ნახავდა

---

[31] ამ ფაქტებზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია -
1 - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/57751
2 - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/57701
3 - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/50001

[32] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/48951

[33] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/170101

[34] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/57451

[35] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/48651

[36] ამ ფაქტზე საჩივარი და მასზე მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია - https://sachivrebi.cec.gov.ge/#/75051

აგიტაციას „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. საარჩევნო კოდექსის თანახმად, მერის მოადგილე პოლიტიკური თანამდებობის პირი არაა[37] და, შესაბამისად, აგიტაციაში მისი მონაწილეობის უფლება შეუზღუდავი არ არის.

N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, მერის მოადგილემ პირადი ტელეფონით, პირად გვერდზე გამოაქვეყნა ფოტო და არ გამოუყენებია მერიის ბალანსზე რიცხული მატერიალური რესურსი. შესაბამისად, კომისიამ ვერ დაინახა დარღვევა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს სადავოდ არც გაუხდია ის ფაქტი, რომ აგიტაცია პირად გვერდზე განხორციელდა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიამ არ იმსჯელა მერის მოადგილის შეზღუდულ უფლებებზე აგიტაციის მხრივ და საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სოციალურ ქსელში ქცევის სტანდარტზე.

განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებს, საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივ დროს განხორციელებულ აგიტაციასთან დაკავშირებით, ერთნაირი მიდგომა აქვთ და ამას საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევად არ თვლიან. აქ მნიშვნელოვანია ცესკოს როლი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კანონის შინაარსობრივ განმარტებას მისი ნამდვილი არსისა და ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად, თანამედროვე პირობების გათვალისწინებით და ამით დაამკვიდროს სწორი პრაქტიკა და გააჯანსაღოს საარჩევნო პროცესი.

V. დასკვნა და რეკომენდაციები

სოციალური მედია და განსაკუთრებით „ფეისბუქი“ წარმოადგენს წინასაარჩევნო აგიტაციის, კანდიდატების რეკლამირების, თუ ამომრჩეველზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვან პლატფორმას. აქედან გამომდინარე, საჭიროა, საარჩევნო ადმინისტრაციამ ადეკვატურად შეაფასოს კანონდარღვევის დაუსჯელად დატოვების გამო მოსალოდნელი რისკები და, კანონის მოთხოვნების მიხედვით, მოახდინოს სათანადო რეაგირება.

წინასაარჩევნო პერიოდში წარდგენილ საჩივართა განხილვის პროცესი ვერ აკმაყოფილებდა კარგი პრაქტიკის სტანდარტებს. საარჩევნო ადმინისტრაცია კვლავ კანონის ვიწრო განმარტების ფარგლებში დარჩა და ვერ უზრუნველყო უკანონო აგიტაციის აღკვეთა.

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი განკარგულებები, ვერ აკმაყოფილებენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს. ნიშანდობლივია, რომ მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა, საოლქო საარჩევნო კომისიებს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებას, სავარაუდო დარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში, ჩაატაროს ადმინისტრაციული მოკვლევა. თუმცა, არცერთ განსახილველ შემთხვევაში, მათ ეს დისკრეციული უფლებამოსილება არ გამოუყენებიათ და საარჩევნო დავების გადაწყვეტისას ზედაპირული, ფორმალური განხილვით შემოიფარგლნენ.

კანონის ტექსტში კონკრეტულად სოციალური ქსელის მოუხსენიებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას უკანონო აგიტაციის აღკვეთის მიზნებისთვის, სათანადო ნების არსებობის

[37] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხ.: 2.ხ

პირობებში. შესაბამისად, უმთავრეს გამოწვევას არა კანონის ნაკლოვანება, არამედ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მისი არასწორი, არაგონივრულად ვიწრო და ლეგიტიმური მიზნის შეუსაბამო ინტერპრეტაცია წარმოადგენს. ამის საპირწონედ, შეგვიძლია გავიხსენოთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას[38] ეყრდნობა. კონვენციის მიღების დროისათვის არ არსებობდა ელექტრონული ფოსტა და მიმოწერა მხოლოდ ტრადიციული გზით იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ელექტრონული მიმოწერა არც არის ნახსენები კონვენციის ტექსტში. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ განავითარა კონვენციის, როგორც „ცოცხალი მექანიზმის" გაგება - „კონვენციის ძალასა და მის უაღრესად თანადროულ ხასიათს განაპირობებს ის, თუ როგორ განმარტავს მას სასამართლო – დინამიკურად და არსებული პირობების გათვალისწინებით. პრეცედენტული სამართლის მეშვეობით, სასამართლომ კონვენციით გარანტირებული უფლებები გააფართოვა, იმგვარად, რომ დღეს კონვენციის დებულებები ვრცელდება სიტუაციებზე, რომლებიც აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი და წარმოუდგენელი იყო მისი მიღებისას. კონვენცია, მაგალითად, ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიები, ბიოეთიკა და გარემოს დაცვა. კონვენცია, ასევე, ვრცელდება ისეთ საზოგადოებრივ და სენსიტიურ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, ტერორიზმი და მიგრაცია."[39]

კანონის დარღვევის ფაქტზე სათანადო რეაგირება არის მომავალში მისი თავიდან არიდების და პრევენციის ძირითადი საშუალება. საჩივრებში განხილული დარღვევების რეაგირების გარეშე დატოვება, კი, შესაძლოა, აღქმულ იქნეს როგორც ნებართვა მომავალში მსგავსი ქმედებების დაუსჯელად განმეორებაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- სოციალური ქსელების მზარდი როლის გათვალისწინებით, მათი საშუალებით წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია სამართლებრივი რეგულაციის ქვეშ უნდა მოექცეს. აგიტაციის საკანონმდებლო განმარტებაში უნდა აისახოს სოციალური ქსელის კომპონენტი, რათა თავიდან ავიცილოთ, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, კანონის არაჯეროვანი, ვიწრო განმარტება;

- უნდა აიკრძალოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ სოციალურ ქსელებში აგიტაცია, სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს, მათ შორის, მათი პირადი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან/და პირად ფეისბუქგვერდებზე.

საარჩევნო ადმინისტრაციას

[38] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0

[39] „კონვენცია, თანამედროვე აქტი", იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპის საბჭო - „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - ცოცხალი აქტი", სექტემბერი, 2020 წ., გვ.: 7 - https://echr.coe.int/Documents/Convention_Instrument_KAT.pdf

- საარჩევნო ადმინისტრაციამ მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინოს საჯარო მოხელეების მიერ სოციალური ქსელებით განხორციელებული აგიტაციის ფაქტებზე. სოციალური ქსელების, განსაკუთრებით კი ფეისბუქი აქტიურად გამოიყენება, როგორც კონკრეტული კანდიდატების მხარდაჭერის, ისე მათი დისკრედიტაციის მიზნით. ამ პირობებში, სოციალური ქსელებში წარმოებული აგიტაციის რეგულირების მიღმა დატოვება, ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსისა" და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ლეგიტიმურ მიზნებს და მნიშვნელოვნად აფერხებს მათ მიღწევას;

- მნიშვნელოვანია საარჩევნო დავების განხილვის სტანდარტის ამაღლება საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე, რაც დაეფუძნება სრულყოფილ ადმინისტრაციულ წარმოებას. საარჩევნო ადმინისტრაცია, გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ სავარაუდო დამრღვევი პირების ახსნა-განმარტებებს. ასევე, მხოლოდ მსგავსი ტიპის მტკიცებულება, არ უნდა იქცეს დამრღვევი პირების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად.